თბილისის „დინამო“ ფორმაშია...

თბილისი „დინამოს“ სტადიონი 31 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) – „ფლამენგო“ (რიო–დე–ჟანიერო) 4:0 (2:0).

„დინამო“: კოტრიკაძე (ნარსია). ა. სიჭინავა, ჭელიძე (ჭოხონელიძე), რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი (შერგელაშვილი), კუტივაძე (გ.სიჭინავა), იამანიძე, ასათიანი (მაისურაძე), მეტრეველი, გიორგაძე (პეტრიაშვილი), მესხი.

„ფლამინგო“: აურელიო, ლეონი, დიტო, იტამარი, კარლინიოსი (ნელსინიო), ენრიკე (პედრინიო), მურილო, ჟარვასი, ალმარი (ამერიკო), ადემარი, ოსვალდო.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დიდი ხანია თბილისელ მაყურებელს არ უნახავს თავის სტადიონზე ხეირიანი უცხოური გუნდი და საინტერესო საერთაშორისო მატჩი. ღირსეული რეპუტაციის მქონე კლუბი, რომელიც უკანასკნელად იმყოფებოდა ჩვენს ქალაქში, გახლდათ შოტლანდიის მრავალგზის ჩემპიონი „გლაზგო რეინჟერსი“, მაგრამ მას შემდეგ ზუსტად ხუთმა წელმა განვლო, ამ ხანში კი საერთაშორისო ფეხბურთში მრავალი ცვლილება მოხდა. ამიტომ გუშინდელ მატჩს შეიძლება გარკვეული ორიენტირის როლიც ჰქონოდა თბილისის დინამოელთა სერთო ძალის შეფასებისათვის საზღვარგარეთის საკლუბო გუნდებთან შესადარებლად. მით უმეტეს, რომ მის შემადგენლობაში ეროვნული ნაკრების ორი წევრი თამაშობდა – ენრიკე და დიტაო.

მაგრამ, გამოტეხილად უნდა ითქვას, „ფლამინგო“ ფეხბურთის ქვეყნის – ბრაზილიის წარმომადგენელი, რიო–დე–ჟანეიროს შტატის 15–გზის ჩემპიონი, ვერ გამოდგა ასეთ ორიენტირად. გუშინდელ მატჩს გულდასმით ვადევნებდით თვალს თავიდან ბოლომდე, ვეძებდით წმინდა ბრაზილიური თამაშის ნიუანსებს, კერძოდ, უმაღლეს დონეზე შესრულებულ რთულ ტექნიკურ ელემენტებს, მაგრამ ამგვარი რამ „ფლამინგოს“ ფეხბურთელებში ბევრი ვერ ვნახეთ. მართალია, დაცვაში ორიგინალური თამაშით გამოირჩეოდნენ სტოპერები დიტაო და იტამარი, მართალია, სტუმრების თავდამსხმელები ძნელი მდგომარეობიდან ზუსტად და მოულოდნელად ურტყამდნენ კარში, ხოლო როცა ადემარმა ვარდნაში თავს უკან გადატანით შესანიშნავი დარტყმა შეასრულა, მაყურებელმა იგი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა, ერთობ ცოტა ჩვენი გუნდის წინააღმდეგ საბრძოლველად, მით უმეტეს, როცა იგი კარგ ფორმაში იმყოფება და აგრესიულადაა განწყობილი. მეტრეველისა და მესხის ნეიტრალიზებისათვის, მაგალითად, სტუმრებმა საერთოდ ვერ გამონახეს რაიმე საშუალება და ეტყობა, ჩვენი ფორვარდების გარღვევები, დრიბლინგის მანერა, ტემპი, სწრაფი კომბინაციები ბრაზილიელთა დაცვისათვის უცხო ხილს წარმოადგენდა.

გუშინ თბილისელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს და სწორად იმოქმედეს „ფლამინგოს“ ნელი ტემპის, ბურთის მოკლე, ხშირი გათამაშების წინააღმდეგ. გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა დასაწყისიდანვე, ყველა გოლი გატანილ იქნა, როგორც იტყვიან უმაღლეს დონეზე.

ანგარიში 33–ე წუთზე გახსნა ასათიანმა. მან შესანიშნავად დაასრულა მეტრეველ–გიორგაძის კომბინაცია შორეული, ზუსტი და ძლიერი დარტყმის – 1:0. ასევე კვალიფიციურად, ოსტატურად დაამთავრა ცხოვრებოვმა მეტრეველის ჩანაფიქრი, როცა მისგან მიიღო საჯარიმო გადაცემა – 2:0.

„დინამო“ დომინირებდა მეორე ტაიმშიც. შეტევა შეტევას მოსდევდა და 57–ე წუთზე ერთ–ერთი მათგანი ასე წარიმართა: მესხი–მაისურაძე–მესხი–გიორგაძე. თბილისელთა გუნდის დებიუტანტმა ბურთი გაგზავნა „ფლამენგოს“ კარში – 3–0.

დაბოლოს, მეოთხე გოლი. იგი სავსებით „ბრაზილიური“ წესით, რთულ მდგომარეობაში გაიტანა მაისურაძემ, რომელმაც ბურთი მეტრეველისგან მიიღო – 4:0.

სტუმრებს უპირატესობა ჰქონდათ მხოლოდ ბოლო 10 წუთის მანძილზე და აქ თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მეკარე ნარსიამ, რომელმაც ზედიზედ 3 ძლიერი ბურთი აიღო და არა მარტო მაყურებლების, ბრაზილიელ ფეხბურთელთა მოწონებაც დაიმსახურა.

ბ. ქორქია
“ლელო” 1.VI.67 წ.